საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებებისა და ევროკავშირის სასამართლოების მიერ განხორციელებული აქტივობები

ივლისი, 2026

01

ევროკომისია

კომისიამ Google-ს დააკისრა 890 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა ციფრული ბაზრების აქტის დარღვევისთვის



ევროკომისიამ მიიღო ორი გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა Google-ის მიერ ციფრული ბაზრების აქტის (DMA) დარღვევა-Google Search-ში საკუთარი მომსახურებებისთვის უპირატესობის მინიჭებისთვის და Google Play-ზე ალტერნატიულ, ხშირად უფრო იაფ, შესყიდვის არხებზე მომხმარებელთა მიმართვის შეზღუდვისთვის (steering). კომისიამ დააკისრა შესაბამისად 460 მილიონი და 430 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმები.

DMA-ის მიხედვით, დიდმა ციფრულმა პლატფორმებმა თავიანთ სერვისებს ძებნის შედეგებში არ უნდა მისცენ უპირატესობა სხვების სერვისებთან შედარებით, ეს პროცესი გამჭვირვალე, სამართლიანი და თანაბარი პირობებით უნდა წარიმართოს. კომისიამ

დაადგინა, რომ Google Search-ში საკუთარი მომსახურებები - საყიდლების, სასტუმროების, ტრანსპორტისა და სპორტული შედეგების ჩათვლით უფრო თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, მათ შორის, გვერდის თავში განთავსებით ან გაძლიერებული ვიზუალებითა და ფილტრებით, ვიდრე მესამე მხარეების ანალოგიური სერვისები.

DMA ავალდებულებს Google-ს, აპლიკაციების დეველოპერებს მისცეს საშუალება, უფასოდ აცნობონ მომხმარებელს ალტერნატიული, ხშირად უფრო იაფი, შეთავაზებების შესახებ. კომისიის დასკვნით, Google ზღუდავს დეველოპერების თავისუფლებას, დადონ ხელშეკრულებები მომხმარებლებთან საკუთარი არჩევანით შერჩეულ არხებში, მათ შორის, მესამე მხარის აპლიკაციების მაღაზიებში, ხოლო Google-ის მიერ დაწესებული საკომისიოს ოდენობამ და ვადამ გადააჭარბა DMA-თან შესაბამისობის ფარგლებს.

კომისიამ Google-ს დაავალა, დანერგოს ზომები მესამე მხარის მომსახურებების სამართლიანი ჩვენებისა და დეველოპერების თავისუფალი ხელშეკრულებების დადების უფლების უზრუნველსაყოფად Google Play Store-ის ფარგლებში და მის გარეთაც. Google-მა უკვე დაიწყო ცვლილებების ტესტირება, რაც პროგრესად ფასდება; დიალოგი გრძელდება, მათ შორის, AI Overviews-სა და AI Mode-ზე ამ პრინციპების გავრცელებასთან დაკავშირებით.

Google ვალდებულია, გადაწყვეტილებები 60 დღეში შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრება პერიოდული ჯარიმა მისი მსოფლიო ბრუნვის 5%-მდე ოდენობით. Google-მა შესაძლოა გადაწყვიტოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

წყარო:

01



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

ბავშვებზე ზეწოლა შენაძენის განსახორციელებლად, ბრალდება წარედგინა YOUTUBE-ის ორ ინფლუენსერს

ამგვარმა რეკლამამ შესაძლოა ბავშვები უშუალოდ წაახალისოს შენაძენისკენ და მათზე უკანონო ზეწოლა მოახდინოს. ამ პრაქტიკას იყენებდა ორი გეიმინგ-YouTube-ინფლუენსერი, რომელთა მიმართაც UOKiK-მა წარმოება დაიწყო. ჯარიმამ შესაძლოა შეადგინოს ბრუნვის 10%-მდე, ხოლო Wojan Group-ის ხელმძღვანელი პირისთვის 2 მილიონ ზლოტამდე.



ორივე ბრალდებული მართავს გეიმინგ-არხებს YouTube-სა და TikTok-ზე, ძირითადად Minecraft-ის თემატიკით, დაწყებითი სასკოლო ასაკის აუდიტორიით, და ონლაინ-მაღაზიებს, სადაც ყიდიან საკანცელარიო ნივთებს, ტანსაცმელსა და სასმელებს. UOKiK-ის თანახმად, ამ პროდუქციის რეკლამა ხშირად მათი ლაივსტრიმების ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს და შესაძლოა არღვევდეს ყველაზე ახალგაზრდა მომხმარებელთა დამცავ რეგულაციებს.

„ბავშვი არ უნდა განიცდიდეს შენაძენის ზეწოლას აგრესიული რეკლამის მეშვეობით, ინფლუენსერები ერთ მომენტში გეიმფლეის სტრიმავენ, მომდევნო წამს კი მაყურებელს პროდუქციის ყიდვისკენ მოუწოდებენ“, - განაცხადა უწყებამ.

კონტენტის ანალიზმა აჩვენა, რომ სარეკლამო შეტყობინება ხშირად მეორდება, ხოლო ინფლუენსერები ბავშვებს პირდაპირ მიმართავენ, აცხადებენ, რომ სხვებმა უკვე იყიდეს, დროის ზეწოლას ახდენენ და პროდუქტს „იღბლიან“ ან „ჯადოსნურ“ თვისებებს მიაწერენ, რითაც შლიან საზღვარს გართობასა და რეკლამას შორის.

UOKiK-ის პრეზიდენტმა ადრეც ხაზი გაუსვა, რომ ბავშვი, როგორც რეკლამის მიმღები, სპეციალურ დაცვას საჭიროებს, ვინაიდან ხშირად ვერ ცნობს შეტყობინების კომერციულ ხასიათს, განსაკუთრებით გართობის ფორმის შემთხვევაში. აკრძალულია სარეკლამო კომუნიკაცია, რომელიც ერთდროულად მიმართულია ბავშვისკენ, პირდაპირ მოუწოდებს მას შესყიდვისკენ და ატარებს პირდაპირ ხასიათს უწყების პოზიციით, ინფლუენსერების კონტენტმა შესაძლოა ეს კრიტერიუმები დააკმაყოფილოს.

ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში მეწარმეებს დაეკისრებათ ჯარიმა ბრუნვის 10%-მდე, ხოლო Wojan Group-ის ხელმძღვანელ პირს 2 მილიონ ზლოტამდე ოდენობით.

წყარო:

02



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

სამართლიანი პრაქტიკა რძის მრეწველობაში



UOKiK-ისა და რძის მრეწველობის წარმომადგენლები განიხილავენ, როგორი უნდა იყოს ხელშეკრულებები ფერმერებსა და რძის გადამამუშავებელ საწარმოებს შორის და რომელი პირობები წარმოადგენს სახელშეკრულებო უპირატესობის ბოროტად გამოყენებას. მთავარი შეშფოთების საგანია ფასწარმოქმნის მექანიზმები, რძის ხარისხის ტესტირება, ხელშეკრულების შეწყვეტა და ფორსმაჟორი.

კომისია აგრძელებს ძალისხმევას, გააუმჯობესოს ურთიერთობა რძის კოოპერატივებს, გადამამუშავებელ კომპანიებსა და რძის მომწოდებლებს შორის შესაძლო დარღვევების საფუძველზე, დარგის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს დიალოგი სამართლიანი თანამშრომლობის პრინციპების შემუშავებაზე, ასევე განიხილება ურთიერთობა საცალო ქსელებთან.

„ჩვენი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯარიმების დაკისრებით, პრიორიტეტს ვანიჭებთ დიალოგს, რომელიც ფერმერებისთვის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრასა და საბაზრო საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობას ემსახურება“, აღნიშნავს უწყება.

UOKiK ეჭვქვეშ აყენებს პირობებს, რომლებიც კოოპერატივს ანიჭებს ფასის ცალმხრივი დადგენის უფლებას მომწოდებელს ახალი ფასის მიუღებლობის შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, ხოლო წინა პირობები ძალაში უნდა დარჩეს გაფრთხილების ვადის განმავლობაში.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მომწოდებელთა შესაძლებლობის არარსებობა, გადაამოწმონ ლაბორატორიის ტესტების შედეგები, და ტესტირების საფასურის არაგამჭვირვალე ან ზედა ზღვრის გარეშე ფიქსირებული ანარიცხი.

მესამე პირზე მიწოდების აკრძალვა, რაოდენობის ერთდროულ შეზღუდვასთან ერთად, შესაძლოა კანონსაწინააღმდეგო იყოს, გადამამუშავებელმა უნდა მიიღოს მთელი წარმოებული რძე ან ფერმერს დაუტოვოს დამოუკიდებლად გაყიდვის საშუალება.

UOKiK-ის პრეზიდენტი აკვირდება ურთიერთობებს რძის კოოპერატივებსა და მომწოდებლებს შორის სახელშეკრულებო უპირატესობის ბოროტად გამოყენების ნორმების საფუძველზე.

წყარო:

03



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბრალდება ფაუჟენდათ



ღილაკზე „განაცხადის შეტანა“ დაჭერით მომხმარებელი, ამის გაუცნობიერებლად, დებს ფასიან ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან. UOKiK-ის პრეზიდენტმა ამგვარი პრაქტიკის გამო ბრალდება წაუყენა ორ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - ბიზნესისა და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტ „ვარსოვიას“ (ყოფილი Collegium Humanum) და პროფესიული განათლების უმაღლეს სკოლას ვროცლავში (WSKZ), ხელშეკრულებების არასამართლიან პირობებზე დაყრდნობით, მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დარღვევის ბრალდებით.

უნივერსიტეტში ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების დადებისა და სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ, რის შემდეგაც სტუდენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობით სარგებლობს.

„ვარსოვიას“ წინააღმდეგ საქმე ეხება სასწავლო ხელშეკრულების არასამართლიან პირობებს, ერთი თვის სწავლის საფასურის ტოლ ადმინისტრაციულ საფასურს ვადამდე შეწყვეტისთვის, თანხის დაუბრუნებლობის დებულებებს და სასამართლო იურისდიქციის პირობას, რომლის თანახმადაც ყველა დავას განიხილავს ვარშავის სასამართლო, მაშინ როცა კანონმდებლობა ითვალისწინებს მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კომპეტენტურ სასამართლოს.

WSKZ-ის შემთხვევაში UOKiK-ის პრეზიდენტმა ეჭვქვეშ დააყენა შეკვეთის ღილაკების მარკირება, რომელიც საკმარისად მკაფიოდ არ აწვდიდა მომხმარებელს ინფორმაციას გადახდის ვალდებულების წარმოშობის შესახებ, ასევე დაწესებულების სტატუსისა და პასუხისმგებლობის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა და მომსახურების ვადამდე დაწყებაზე კანონმდებლობით მოთხოვნილი ცალკე თანხმობის ნაცვლად სხვაგვარი პრაქტიკის გამოყენება. ორივე დაწესებულების მიმართ წარმოებულმა საქმემ შესაძლოა გამოიწვიოს ჯარიმა დაწესებულების წლიური ბრუნვის 10%-მდე ოდენობით.

წყარო:

01



ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

საჰაერო მგზავრთა უფლებების გაძლიერება



ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო შეთანხმდნენ საჰაერო მგზავრთა შესახებ ახალ წესებზე, რომელთა მიზანია მგზავრთა დაცვის გაძლიერება და მეტი სიცხადის უზრუნველყოფა. ახალი წესები ითვალისწინებს კომპენსაციის უფრო სწრაფ პროცედურებს, მგზავრთათვის ინფორმაციის სავალდებულო მიწოდებას, სპეციალური საჭიროებების მქონე მგზავრთა უფლებების გაძლიერებას და ფასებისა და გადასახადების გამჭვირვალობას. რეგულაცია, სავარაუდოდ, ამოქმედდება 2027 წლის მეორე ნახევარში.

რეისის დაგვიანების, გაუქმების ან ჩასხდომაზე უარის შემთხვევაში მგზავრს ცხრა თვის ვადა ექნება კომპენსაციის მოსათხოვად, ხოლო გადამზიდველს 30 დღე, გადაუხადოს იგი ან განუმარტოს მიზეზი. ჯავშნის დაწყებამდე ავიაკომპანიები ვალდებულნი იქნებიან, მიუთითონ ფასი ხელბარგის ჩათვლით, ხოლო მგზავრს ექნება უფლება, უფასოდ წაიღოს ერთი პირადი ნივთი.

14 წლამდე ასაკის ბავშვების თანმხლებ პირებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე მგზავრებსა და ორსულ ქალებს გვერდიგვერდ ადგილები დამატებითი გადასახადის გარეშე მიეცემათ.

კომპენსაციის ძირითადი წესები უცვლელი რჩება, მგზავრს კვლავ შეეძლება მისი მოთხოვნა სამსაათიანი ან მეტი დაგვიანების, 14 დღეზე ნაკლებ ვადაში გაუქმების ან ჩასხდომაზე უარის შემთხვევაში, ფრენის მანძილის მიხედვით: 250 ევრო - 1500 კმ-მდე, 400 ევრო - 1500–3500 კმ და 600 ევრო - 3500 კმ-ზე მეტი მანძილისთვის. კომპანიებს შეეძლებათ, კომპენსაცია 50%-ით შეამცირონ, თუ შესთავაზეს მარშრუტის შეცვლა ან ჩამოსვლა არაუმეტეს ოთხი საათით დაგვიანდა, ან თუ ფრენა მათი კონტროლის მიღმა არსებული გარემოებების გამო შეფერხდა. პრობლემის შემთხვევაში მგზავრი უნდა დაუკავშირდეს კომპანიას, ხოლო შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს ევროპულ მომხმარებელთა ცენტრს (www.ecc.lt).

წყარო:

02



ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

საფრთხის შემცველი სათამაშოები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო უწყება (VVTAT) მომხმარებლებს ატყობინებს **საფრთხის შემცველ**, „squishy“ ტიპის სათამაშოებზე, რომლებიც ცნობილია Squishy Dumplings, Squeezy Dumplings, Squeezy Buns და მსგავსი დასახელებებით.



გაერთიანებული სამეფოს პროდუქციის უსაფრთხოების უწყებამ გამოსცა შეტყობინება სათამაშო Squeezy Dumplings-ის შესახებ, რომელიც შეფასდა, როგორც ჯანმრთელობისთვის სერიოზული ქიმიური რისკის შემცველი. შეტყობინების თანახმად, სათამაშოს გარეთა ფენა შეიცავს ბენზოლს 20 მგ/კგ კონცენტრაციით, ასევე აღინიშნა, რომ პროდუქტსა და მის შეფუთვაზე არ ფიქსირდება პარტიის ნომერი ან სხვა მკაფიო საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და რომ პროდუქტს ესაჭიროება ეტიკეტირებისა და მარკირების გაუმჯობესება. პროდუქტი გაერთიანებულ სამეფოში გაყიდვიდან ამოღებულია.

ბენზოლი საშიში ქიმიური ნივთიერებაა. მისმა ჩასუნთქვამ შესაძლოა გამოიწვიოს თვალების, ცხვირისა და ყელის გაღიზიანება, ხოლო პირდაპირმა ან ხანგრძლივმა ზემოქმედებამ კანისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გაღიზიანება, ასევე ფილტვებში სითხის დაგროვება. ბენზოლი ასევე კლასიფიცირებულია, როგორც ადამიანისთვის კანცეროგენული ნივთიერება, და შესაძლოა კიბოს განვითარებას შეუწყოს ხელი.

Squishy სათამაშოები ბავშვებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია მათი რბილი ტექსტურის, ნათელი ფერების, კოლექციური ხასიათისა და სოციალურ მედიაში პოპულარული ტენდენციების გამო. თუმცა, ასეთმა პროდუქტებმა უნდა დააკმაყოფილონ სათამაშოების უსაფრთხოების, ქიმიური შემადგენლობის, ეტიკეტირების მოთხოვნები.

რეკომენდაციები მომხმარებლებისთვის:

- შეიძინეთ სათამაშოები მხოლოდ სანდო გამყიდველებისგან;
- შეამოწმეთ, აქვს თუ არა პროდუქტს ან მის შეფუთვას CE ნიშანი;
- მიაქციეთ ყურადღება, მითითებულია თუ არა მწარმოებელი, იმპორტიორი, პასუხისმგებელი პირი, პარტიის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;

- მოერიდეთ გაურკვეველი წარმოშობის, ძლიერი ქიმიური სუნის მქონე ან ცუდი ხარისხის ეტიკეტირების სათამაშოებს;
- არ დაუშვათ, ბავშვმა ასეთი სათამაშოები პირში ჩაიდოს;

გამყიდველებსა და დისტრიბუტორებს მოეთხოვებათ, გადახედონ squishy-ტიპის სათამაშოების მარაგებს, შეამოწმონ მიწოდების დოკუმენტები, ეტიკეტირება და შესაბამისობის ინფორმაცია და უზრუნველყონ, რომ ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ უსაფრთხო, მიკვლევადი და კანონმდებლობასთან შესაბამისი სათამაშოები.

წყარო:

01



ესპანეთის ეროვნული ბაზრების და კონკურენციის კომისია

ესპანეთში ელექტრონული კომერციის მოცულობამ 2025 წელს 114.8 მილიარდ ევროს გადააჭარბა

ესპანეთში ელექტრონული კომერციის შემოსავალმა 2025 წლის მეოთხე კვარტალში წლიურ ჭრილში 22%-ით მოიმატა და 31.418 მილიარდ ევროს მიაღწია CNMCData პორტალის უახლესი მონაცემების თანახმად. ყველაზე მაღალი შემოსავალი ჰქონდათ ტურისტულ სააგენტოებსა და ტუროპერატორებს (მთლიანი შემოსავლის 7.1%) და ტანსაცმლის სექტორს (7%). ტრანზაქციების რაოდენობამ 575 მილიონს გადააჭარბა (+20.2%), ხოლო გაყიდვების მოცულობით პირველ ადგილზეა აზარტული თამაშებისა და ფსონების სექტორი (9.1%).

2025 წლის მეოთხე კვარტალში, გეოგრაფიული სეგმენტაციის მიხედვით, შემოსავლის 42.2% ესპანეთის შიგნით განხორციელებულ ტრანზაქციებზე მოდიოდა, ხოლო დარჩენილი 57.8% წარმოადგენდა ესპანეთში წარმოშობილ, თუმცა საზღვარგარეთ განხორციელებულ შესყიდვებს. ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით, გაყიდვების 34.2% ესპანეთისკენ იყო მიმართული, ხოლო 65.8% სხვა ქვეყნებისკენ.

ესპანეთიდან საზღვარგარეთ მიმართული ტრანზაქციების მოცულობამ 18.164 მილიარდი ევრო შეადგინა (+14.8%), აქედან 94.6% ევროკავშირის ტერიტორიაზე განხორციელდა ყველაზე მაღალი მოცულობით ტანსაცმლისა (9.9%) და ფინანსური შუამავლობის დამხმარე მომსახურების (9.6%) სექტორებში. ამასთან, იმპორტმა 423 მილიონი ევრო

შეადგინა (+21%), საიდანაც 65.1% ევროკავშირიდან მოდიოდა; ტურიზმის სექტორმა (ტურისტული სააგენტოები, ტრანსპორტი, ავტოგაქირავება, სასტუმროები) საზღვარგარეთული შენაძენების 58.6% დაფარა.

ესპანეთის შიგნით ელექტრონული კომერციის შემოსავალმა 38.6%-ით მოიმატა და 9.831 მილიარდ ევროს მიაღწია, ყველაზე დიდი წილით სახელმწიფო მმართველობის, გადასახადებისა და სოციალური დაზღვევის სექტორში (9.7%).

წყარო:

01



ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

AMAZON სასამართლოში

ACCC-მ ფედერალურ სასამართლოში აღძრა საქმე Amazon Commercial Services Pty Ltd-ის (Amazon AU) წინააღმდეგ, კომპანიამ სავარაუდოდ დაარღვია ავსტრალიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი Prime-ის გამოწერის ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების ჩართვითა და, შემდგომ, ამ პირობებზე დაყრდნობით Prime Video-ში რეკლამის დანერგვით.

2023-2025 წლებში Amazon AU-ს ხელშეკრულებები ერთ მილიონზე მეტ წლიურ აბონენტთან, ACCC-ის მტკიცებით, შეიცავდა ხუთ არასამართლიან პირობას, რომლებიც კომპანიას აძლევდა უფლებას, ცალმხრივად შეეტანა აბონენტისთვის საზიანო ცვლილებები. სწორედ ამ პირობებზე დაყრდნობით შემოიღო Amazon AU-მ რეკლამა Prime Video-ში 2024 წლის ივლისში, მანამდე სერვისი თითქმის მთლიანად რეკლამისგან თავისუფალი იყო. ამის შემდეგ, რეკლამისგან თავისუფალი სტრიმინგისთვის აბონენტს

დამატებით 2.99 დოლარის გადახდა უწევდა თვეში, მიუხედავად წლიური გამოწერისთვის უკვე გადახდილი 79 დოლარისა.

„მომხმარებლებს, რომლებსაც რეკლამის თავიდან აცილება სურდათ, სხვა გზა არ დარჩენოდათ, გარდა დამატებითი გადახდისა“, - განაცხადა ACCC-ის თავმჯდომარემ ჯინა კას-გოტლიბმა.

ACCC ასევე ამტკიცებს, რომ Amazon.com Services LLC (Amazon US) შეგნებულად იყო ჩართული ამ ქმედებაში, მონაწილეობდა სადავო ხელშეკრულებების შედგენაში და მიიღო გადაწყვეტილება რეკლამის გლობალურად დანერგვის შესახებ.

ACCC ითხოვს დეკლარაციების გამოტანას, სანქციების დაკისრებას და მომხმარებელთათვის ზიანის ანაზღაურებას. საქმე ერთ-ერთი პირველია, რომელიც აღიძრა 2023 წლის 9 ნოემბრიდან მოქმედი, არასამართლიანი პირობების ახალი სანქციების რეჟიმის ფარგლებში.

წყარო:

01

იტალიის კონკურენციის უწყება

2.5 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის ჯარიმა დაეკისრა ცრუ მარკეტინგისთვის



დაჯარიმებულმა კომპანიებმა განახორციელეს სარეკლამო კამპანიები და პრომოაქტივობები, რომლებშიც არაერთხელ იყო წარმოდგენილი ან იგულისხმებოდა ოლიმპიური სიმბოლიკა და ემბლემები და/ან ოფიციალური სახელწოდებები, კერძოდ, „Milano-Cortina/Milano-Cortina2026“. მოკვლევა დაიწყო იტალიის საფინანსო პოლიციის (Guardia di Finanza) ანტიმონოპოლიური სპეციალური დანაყოფის მონიტორინგის საფუძველზე.

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაასრულა 2026 წლის იანვრიდან წარმოებული მოკვლევა კომპანიების Harmont&Blaine S.p.A., Rialto S.p.A. (სუპერმარკეტების ქსელი „Il Gigante“), MD S.p.A. (სუპერმარკეტების ქსელი „MD“), Magazzini Gabrielli S.p.A. (სუპერმარკეტების ქსელი „Oasi“), RetailPro S.p.A. (სუპერმარკეტების ქსელი „Pro7“) და Butan Gas S.p.A. მიმართ და დაადგინა, რომ ამ კომპანიებმა დაარღვიეს ამბუშ მარკეტინგის აკრძალვა. კომპანიებს ჯამში 2.5 მილიონ ევროზე მეტის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ.

უწყებამ დადგინდა რომ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპანიები არ წარმოადგენენ მილანო-კორტინა 2026 ოლიმპიური ზამთრის თამაშების ოფიციალურ სპონსორებს, მათ შექმნეს ასოციაცია საკუთარ ბრენდსა და ოლიმპიურ თამაშებს შორის, რითაც შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება ოფიციალური სპონსორების იდენტობასთან დაკავშირებით, ოლიმპიური სიმბოლიკის (ხუთი რგოლი), ემბლემებისა და ოფიციალური სახელწოდებების გამოყენებით სარეკლამო კამპანიებსა და პრომოაქტივობებში.

[წყარო:]

01



სომხეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

მომხმარებელთა პლატფორმის მეშვეობით მიღებული საჩივრები ერევანში მშენებარე კომპლექსის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით

„მომხმარებელთა ასისტენტის“ პლატფორმის მეშვეობით, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიამ მიიღო არაერთი საჩივარი, რომ ერევანში, გრიბოედოვის ქუჩა 48-ში მშენებარე მრავალბინიანი კომპლექსის პირველი ფაზის ბინები არ არის უზრუნველყოფილი გაზიფიცირების შესაძლებლობით.

მშენებელი კომპანია „ORD Development“-ის მიმართ დაიწყო წარმოება, სხვა საკითხებთან ერთად, კომპლექსისთვის გაზიფიცირების უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. წარმოების მიმდინარეობისას კომპანიამ გადადგა ნაბიჯები გაზიფიცირების განსახორციელებლად, თუმცა მოგვიანებით გამოირკვა, რომ შიდა გაზიფიცირების უზრუნველსაყოფად კომპანია მყიდველებს ავალდებულებდა, დამატებით გადაეხადათ 357,000 დრამი თითოეულ ბინაზე.

კომისიამ დაადგინა, რომ კომპანიის ქმედება შეიცავს მომხმარებელთა ინტერესების დარღვევის ნიშნებს, და დაავალა მას, დაუყოვნებლივ და მყიდველებისგან ნებისმიერი საფასურის დარიცხვის გარეშე უზრუნველყოს ბინების შიდა გაზიფიცირება, ასევე დაუბრუნოს მყიდველებს უკვე გადახდილი თანხები.

წყარო:



საქმე C-124/21 P - INTERNATIONAL SKATING UNION V COMMISSION

CELEX_62021CJ0124_EN_TXT.PDF

ფაქტობრივი გარემოებები:

ციგურაობის საერთაშორისო გაერთიანება (ISU) არის ერთადერთი საერთაშორისო სპორტული ფედერაცია, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ფიგურული ციგურაობის დარგში. ISU-ს ასოციაციის წესდებით, მისი წევრები თანხმდებოდნენ, რომ თუ პროფესიონალი სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებდა ისეთ საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც არ იყო მის მიერ ავტორიზებული (მაგალითად, კერძო კომპანიების მიერ ორგანიზებული კომერციული ტურნირები), მას მიენიჭებოდა დისკვალიფიკაცია და ვეღარ შეძლებდა ISU-ს მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობას.

ორმა ჰოლანდიელმა მოციგურავემ საჩივრით მიმართა ევროკომისიას, რადგან მათ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ კორეული კომპანიის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრში (Icederby), მაგრამ ISU-ს სანქციების შიშით ეს ვერ შეძლეს.

ევროკომისიის გადაწყვეტილება:

2017 წელს ევროკომისიამ დაადგინა, რომ ISU-ს წესები შეუსაბამო იყო ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლთან, რადგანაც მათ მიერ დაწესებულ შეზღუდვებს ჰქონდათ ერდათერთი მიზანი და ეს იყო პროფესიონალი მოციგურავეებისთვის სხვა ორგანიზებულ საერთაშორისო ღონისძიებებში თავისუფლად მონაწილეობის შესაძლებლობის აკრძალვა.

ამასთან, ევროკომისიამ ხაზი გაუსვა, რომ ნებისმიერი სპორტული ტურნირის ჩასატარებლად მთავარი ფაქტორი მასში სპორტსმენის მონაწილეობაა. აქედან გამომდინარე, ეს წესები სხვა ორგანიზატორებსაც ართმევდა შესაძლებლობას ორგანიზება

გაეკეთებინათ რაიმე შეჯიბრისთვის და მოეწვიათ ISU-ს ათლეტები. კომისიამ ISU-ს დაუდგინა დარღვევა და პერიოდული ჯარიმის დაკისრების პირობით, დაავალა წესების შეცვლა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ გაიზიარა ევროკომისიის გადაწყვეტილება და განმარტა, რომ ISU-ს მიერ დაწესებული „უფლებამოსილების წესები“ (eligibility rules), რომლებიც არაავტორიზებულ ტურნირებში მონაწილეობისთვის სპორტსმენებს სამუდამო დისკვალიფიკაციით ემუქრებოდა, წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვას მიზნის მიხედვით (restriction by object), რაც პირდაპირ 101-ე მუხლის დარღვევაა.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი არაპროპორციული სასჯელი, არ ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმურ ინტერესს, არამედ ემსახურებოდა ბაზრის ხელოვნურ ჩაკეტვას. შედეგად, იზღუდებოდა პროფესიონალი სპორტსმენების ეკონომიკური თავისუფლება და სხვა ორგანიზატორებს ერთმეოდათ ბაზარზე შესვლისა და კონკურენტუნარიანი სპორტული ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობა.

ამასთან, ამ საქმეში საინტერესო იყო სასამართლოს ის განამრტება, რომელიც ISU-ს წესდების საარბიტრაჟო წესებს ეხებოდა. პარალელურად, გაერთიანება ამბობდა იმასაც, რომ მათი წესდების თანახმად, სპორტსმენებს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უნდა ეჩივლათ და ევროკომისია აღნიშნულ საქმეში არ უნდა ჩარეულიყო.

სასამართლომ, ამ ნაწილთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ სასამართლოში, დავის განხილვისას არ მოხდებოდა იმის განხილვა, არღვევდა თუ არა ეს წესები კონკურენციის კანონმდებლობასა და საჯარო წესრიგის ნორმებს. ამასთან, შვეიცარა არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლო. შესაბამისად, ის ვერ მიმართავდა ევროკავშირის სასამართლოს რაიმე განმარტებისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო სისტემით შექმნილია იმისთვის, რომ ISU-მ შეინარჩუნოს ძალაუფლება, ჩაკეტოს ბაზარი და სპორტსმენებს წაართვას უფლება თავი დაიცვან ეროვნულ სასამართლოებში.

საქმე C-161/24 – OSA (CELEX_62024CJ0161_EN_TXT.PDF)

ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წელს ჩეხეთის კონკურენციის ორგანომ დაადგინა, რომ 2008 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში, დომინანტი კომპანია OSA ჩეხეთის რესპუბლიკაში მოქმედი სასტუმროების მფლობელებს, ტელევიზორებისა და რადიომიმღებების საშუალებით საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისთვის, სთხოვდა ჰონორარს, რომელიც გაანგარიშებული იყო სასტუმროების დატვირთულობის კოეფიციენტის გაუთვალისწინებლად და ყოველგვარი ობიექტური დასაბუთების გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, OSA ითხოვდა ჰონორარის გადახდას იმ თავისუფალი (დაუკავებელი) ნომრებისთვისაც, რომლებშიც ამ ნაწარმოებების არანაირი გამოყენება/ჩვენება არ მომხდარა.

ჩეხეთის კონკურენციის ორგანომ მიიჩნია, რომ ამ პრაქტიკით OSA-მ დააწესა უსამართლო სავაჭრო პირობები საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენების ლიცენზიების გაცემის ეროვნულ ბაზარზე. აღნიშნულმა ორგანომ ჩათვალა, რომ ეს პრაქტიკა წარმოადგენდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც აკრძალულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლით. ჩეხეთის კონკურენციის ორგანომ OSA-ს დააკისრა ჯარიმა 10,676,000 ჩეხური კრონის (დაახლოებით 429,000 ევრო) ოდენობით და აუკრძალა ამ პრაქტიკის გაგრძელება.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება:

OSA-მ ჯარიმა ეროვნულ სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ შეაჩერა საქმის განხილვა და შეფასების მიზნით (Preliminary ruling) CJEU-ს.

CJEU-ს განმარტება:

სასამართლო აღნიშნა, რომ საავტორო სამართლის ბუნების გათვალისწინებით, ლიცენზიის საფასური გადიხდება არა იმის გამო, რომ ვიღაცამ მუსიკას რეალურად მოუსმინა, არამედ იმის გამო, რომ სასტუმრომ მას ამის შესაძლებლობა შეუქმნა და ხელმისაწვდომი გახადა.

მართალია საავტორო სამართლით ნაწარმოების ხელმისაწვდომობას ლიცენზირება უზრუნველყოფს, თუმცა აქ საინტერესო იყო ის გარემოება, რომ მომჩივან ეკონომიკურ აგენტს დომინანტი კომპანია წარმოადგენს, შესაბამისად მასზე ვრცელდება TFEU-ს 102-ე მუხლი და ის წესები რომელიც კრძალავს დომინირებული უსამართლო ფასებისა და სავაჭრო პირობების დაწესებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ ტელევიზორის ან რადიოს სასტუმროს ოთახში დადგმა თავისთავად არის "საზოგადოებისთვის გადაცემა" (*communication to the public*), მაგრამ თუ ტარიფის დადგენისას საერთოდ უგულებელყოფილია სასტუმროს დატვირთულობის კოეფიციენტი (Occupancy Rate), ეს შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს.

სასამართლომ განმარტა, რომ სასტუმროს თავისუფალი ოთახების რაოდენობის მაჩვენებლით ხელმძღვანელობა რელევანტური ფაქტორია, რადგან ის განსაზღვრავს ნაწარმოების რეალური გამოყენების მასშტაბსა და იმ ეკონომიკურ სარგებელს, რასაც სასტუმრო იღებს. ამ კოეფიციენტის უგულებელყოფა კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად (არასამართლიანი ფასების დაწესებად), თუკი თავისუფალი ოთახების მონაცემების გათვალისწინება შესაძლებელი იყო გონივრული ადმინისტრაციული ხარჯებით და ეს გამოიწვევდა ტარიფის მნიშვნელოვან შემცირებას.

აღნიშნული განმარტების საფუძველზე, დგინდება რომ თუ ჩეხეთის ეროვნული სასამართლო დაადგენს, რომ სასტუმროს ცარიელი ოთახების მაჩვენებლების მიხედვით დაანგარიშებული ტარიფი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოთხოვნილი ჰონორარისგან, დარღვევად ჩაითვლება დომინანტის მიერ უსამართლოდ მაღალი ფასების დაწესება.

საქმე C-260/24 - LUKOIL BULGARIA (A PRELIMINARY RULING OF CJEU)

სრული გადაწყვეტილების ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62024CJ0260

1. ფაქტობრივი გარემოებები

საქმე ეხებოდა ბულგარეთში, საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი და თხევადი გაზი LPG) ბაზარზე ოპერირებადი კომპანია Lukoil Bulgaria-ის მიერ სავარაუდო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მარჟის შეზღუდვის ე.წ. **„Margin Squeeze“** გზით.

ბულგარეთის ქ. სოფიის სასამართლომ **ე.წ. preliminary ruling-ის პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU)** რომელიც ეხებოდა ბულგარეთის კონკურენციის ორგანის 2023 წლის 16 თებერვლის №184 გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას და მისი განმარტებების ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობას, კერძოდ აღნიშნულმა კონკურენციის ორგანომ დაადგინა, რომ კომპანია **Lukoil Bulgaria-მ** შესაბამისი ბაზრებზე დომინანტური მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა.

ბულგარეთის კონკურენციის ორგანომ დაადგინა, რომ კომპანიამ დომინანტური მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა მარჟის შეზღუდვის ე.წ. **„margin squeeze“**-ით დამკვიდრებული პრაქტიკით, კერძოდ საავტომობილო საწვავის საბითუმო ბაზარზე ისეთი ფასები დააწესა, რითაც კონკურენტებისთვის მოგების მარჟა ფაქტობრივად ნულამდე დაიყვანა.

2. შესაბამისი ბაზარი

2.1 პროდუქციული ბაზარი -

ზედა დონის (upstream) ბაზარი - საავტომობილი საწვავის (ბენზინი, დიზელი და თხევადი გაზი LPG) საბითუმო მიწოდება (სადაც საწვავი იყიდებოდა აქციზის გადახდის შეჩერების რეჟიმში). ამ დონეზე საწვავის ფასი უფრო მაღალი იყო;

ქვედა დონის (downstream) ბაზარი - საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი და თხევადი გაზი LPG) საცალო მიწოდება (სადაც აქციზი უკვე გადახდილი იყო და საწვავი საბოლოო მოხმარებისთვის იყიდებოდა). ბაზრის ამ დონეზე იგივე საწვავი უფრო იაფად იყიდებოდა.

2.2 გეოგრაფიული ბაზარი - მთელი ბულგარეთის ტერიტორია

ზემოღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, **Lukoil Bulgaria-ს** კონკურენტები, რომლებიც საწვავს ზედა დონის (upstream) ბაზარზე ყიდულობდნენ მისგან, ამავე კომპანიას ქვედა დონის (downstream) ბაზარზე კონკურენციას ვეღარ უწევდნენ.

3. ევროკავშირის მართლსაჯულების სასამართლოს (CJEU) მსჯელობა/შეფასება ე.წ. preliminary ruling-ის ფარგლებში

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, მოცემული საქმის ფარგლებშ განმარტა, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (TFEU-ის 102-ე მუხლი), კერძოდ მარჟის შეზღუდვის ე.წ. „Margin Squeeze"-ის დასადგენად კონკურენციის ორგანომ უნდა დაადგინოს შემდეგი პარამეტრები:

- **კომპანია ფლობს თუ არა დომინანტურ მდგომარეობას საბითუმო მიწოდების, ანუ ზედა დონის (upstream) ბაზარზე;**
- **ზედა დონის ბაზარზე ოპერირებადი კომპანიის მიერ დადგენილი ფასები საცალო რეალიზაციის, ანუ ქვედა დონის (downstream) ბაზარზე ისეთ ეფექტს ქმნის, რომელიც ბაზრიდან განდევნის მის კონკურენტებს ან/და პოტენციურ კონკურენტებს ხელს უშლის შესაბამის ბაზარზე შესვლაში.**

სასამართლომ, მოცემული განმარტების ფარგლებში აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის დასადგენად მნიშვნელოვანია:

- ბაზრის წილი;
- ინფრასტრუქტურული უპირატესობები;
- ბაზარზე შესვლის ბარიერები;
- უნარი იმოქმედოს კონკურენტებისგან დამოუკიდებლად.

სასამართლომ ასევე, აღნიშნა, რომ მხოლოდ ბაზრის წილი არ არის გადამწყვეტი და შესაძლებელია ეკონომიკური დომინანტური მდგომაროება სხვა ფაქტორებითაც დადგინდეს.

მოცემული განმარტების ფარგლებში, ასევე ერთ-ერთი მთავარი სამართლებრივი საკითხი იყო, უნდა განხილულიყო თუ არა დიზელი, ბენზინი და თხევადი გაზი (LPG) ცალ-ცალკე ბაზრებად, თუ ერთი ფართო საწვავის ბაზრის ნაწილად. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ პროდუქტები შეიძლება ერთსა და იმავე ბაზარს მიეკუთვნებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკმარისად ურთიერთჩანაცვლებადია (substitutability). მარჟის შეზღუდვის (ე.წ. margin squeeze) საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლები დიზელს, ბენზინსა და LPG-ს ურთიერთჩანაცვლებადად შესაძლოა არ აღიქვამენ, კონკურენციის ორგანომ მაინც უნდა შეისწავლოს, არის თუ არა კონკურენციის პირობები და მიწოდების სტრუქტურა ბაზრის ზედა (upstream) დონეზე (ისეთი, რომ ზოგიერთი მათგანის ერთსა და იმავე პროდუქტის ბაზრად მიჩნევა იყოს გამართლებული.

აკრძალული შეთანხმებები (ART. 101 (1) OF TFEU) - შეთანხმებული ქმედება (CONCERTED PRACTICE)

Air Canada v European Commission[1] - სრული გადაწყვეტილების ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62022CJ0367

1. ფაქტობრივი გარემოებები

„Air Canada“ (ავიაგადამზიდველი) ოპერირებს ავიაგადაზიდვების (საჰაერო ტვირთბრუნვის) მომსახურების ბაზარზე, რომლის ფარგლებშიც იგი მომსახურებას უწევს ექსპედიტორებს, სანაცვლოდ კი ექსპედიტორები უხდიან ფასს, რომელიც შედგება, ერთი მხრივ, კილოგრამზე გაანგარიშებული ტარიფებისგან და, მეორე მხრივ, სხვადასხვა დანამატებისგან.

„Lufthansa Cargo AG“-ისა და „Swiss International Air Lines AG“-ის მიერ ევროკომისიაში წარდგენილი იქნა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რიგ გადამზიდველებს შორის ნარჩუნდებოდა ანტიკონკურენციული კონტაქტები ავიაგადაზიდვების ბაზარზე გაწეული მომსახურების ფასის ელემენტებთან დაკავშირებით, კერძოდ, „საწვავის“ და „უსაფრთხოების“ დანამატების შემოღებასა და ამ გადამზიდველების მხრიდან სატვირთო ექსპედიტორებისთვის დანამატებზე საკომისიოს გადახდაზე უარის თქმასთან დაკავშირებით („საკომისიოს გადახდაზე უარი“). განცხადების საფუძველზე, ევროკომისიამ, 2006 წელს დაიწყო კონკრეტული ავიაგადმზიდველების, მათ შორის, „Air Canada“-ის მოულოდნელი შემოწმება.

[1] In Case C-367/22 P. 26 February 2026

2. ევროკომისიისა და საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოკვლევის შედეგად ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 21 ავიაგადამზიდველის, მათ შორის „Air Canada“-ის მიმართ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ გადამზიდველებმა განახორციელეს თავიანთი ქცევის კოორდინაცია სატვირთო მომსახურებაზე ფასების დადგენის ნაწილში, საწვავის დანამატზე, უსაფრთხოების დანამატზე და საკომისიოს გადახდაზე უარის თქმაზე შეთანხმების მიღწევის გზით, და ამგვარად, მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის TFEU-ის 101-ე მუხლის უწყვეტ დარღვევაში. დარღვევის განხორციელების არეალი მოიცავდა ევროპის ეკონომიკური სივრცისა (EEA) და შვეიცარიის ტერიტორიას. აღნიშნული გადაწყვეტილება, 2015 წელს, გაუქმებული იქნა საერთო სასამართლოს მიერ „Air Canada“-ს ნაწილში. სასამართლომ საფუძვლად მიუთითა გადაწყვეტილების არასათანადო დასაბუთება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიამ განახორციელა ხელახალი მოკვლევა. კომისიამ, მოკვლევის შედეგად კვლავ დაადგინა კარტელის არსებობა და განმარტა, რომ მოკვლევამ გამოავლინა გლობალური კარტელი, რომელიც ეფუძნებოდა კონკურენტებს შორის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ კონტაქტთა ქსელს. ეს კონტაქტები ეხებოდა მათ მიერ გადაწყვეტილ, მისაღებად განზრახულ ან განხილულ ქცევას სატვირთო მომსახურების ტარიფების სხვადასხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ევროკომისიამ, ასევე, აღწერა კონტაქტები, რომლებიც ეხებოდა შესაბამისად საწვავის დანამატს, უსაფრთხოების დანამატს და საკომისიოს გადახდაზე უარის თქმას, და შეაფასა ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომლებიც ეხებოდა (i) მთლიანად სადავო კარტელს და (ii) ამ გადაწყვეტილების თითოეულ ადრესატს. შეფასების შედეგად, კომისიამ დაადგინა, რომ „სატვირთო მომსახურებაზე საფასო ქცევის კოორდინაციის საერთო სქემა“, რომელიც მისი მოკვლევით გამოვლინდა, მოწმობდა „კომპლექსური დარღვევის არსებობას, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ქმედებებისგან, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც შეთანხმება ან შეთანხმებული ქმედება, რომლის ფარგლებშიც კონკურენტებმა შეგნებულად ჩაანაცვლეს მათ შორის არსებული კონკურენციის რისკები პრაქტიკული თანამშრომლობით“.

ამ კონტექსტში, კომისიამ „Air Canada“-თან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი ჩართული იყო დარღვევის სამი ელემენტიდან ორში, კერძოდ, საწვავის დანამატსა და უსაფრთხოების დანამატში. იქვე კომისიამ დასძინა, რომ მისი ჩართულობის გათვალისწინებით, „Air Canada“-ს მაინც შეეძლო „გონივრულად წინასწარ განეჭვრიტა ინფორმაციის გაცვლა“ მხარეებს შორის დანამატებზე საკომისიოს გადახდასთან დაკავშირებით და მზად იყო რისკზე წასასვლელად, და რომ ასევე არსებობდა მტკიცებულებები იმისა, რომ „Air Canada“ საქმის კურსში იყო დანამატებზე საკომისიოს გადახდის თაობაზე გამართული დისკუსიების შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნული ანტიკონკურენციული ქცევის მიზანს წარმოადგენდა კონკურენციის შეზღუდვა სულ მცირე ევროკავშირში, EEA-სა და შვეიცარიაში.

2017 წელს „Air Canada“-მ კვლავ შეიტანა სარჩელი საერთო სასამართლოში და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების სრულად გაუქმება. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა

ნაწილობრივ. რის გამოც „Air Canada“-მ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა გადაწყვეტილების სრულად გაუქმება, მათ შორის დაკისრებული ჯარიმის გაუქმება. მან სააპელაციო საჩივარში გააპროტესტა ECJ-ის იურისდიქციის გავრცელება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებაზე.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (ბოლო ინსტანცია)

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ევროკომისიის იურისდიქციის დასასაბუთებლად საერთაშორისო საჯარო სამართლის ფარგლებში საკმარისია „კვალიფიციური ეფექტების ტესტის“ დაკმაყოფილება და ამისთვის აუცილებელი არ არის პარალელურად „განხორციელების ტესტის“ შემოწმებაც. სასამართლომ განმარტა, რომ ორივე ტესტი ალტერნატიული ხასიათისაა და ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება - ევროკავშირის ბაზარზე ისეთი ანტიკონკურენციული ეფექტების აღკვეთას, რომლებიც შესაძლოა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ შეთანხმებული ქცევიდან მომდინარეობდეს. შესაბამისად, ვინაიდან საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ქცევას შეეძლო მნიშვნელოვანი ეფექტების მოხდენა ევროკავშირის ბაზარზე, „Air Canada“-ს არგუმენტი კომისიის იურისდიქციის არარსებობის შესახებ უარყოფილ იქნა.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ როდესაც ქცევა კლასიფიცირდება როგორც კონკურენციის „მიზნით შეზღუდვა“, კომისიას არ ეკისრება ვალდებულება, ცალკე დაამტკიცოს მისი ფაქტობრივი ანტიკონკურენციული შედეგები კვალიფიციური ეფექტების ტესტის ფარგლებში. სასამართლოს შეფასებით, „Air Canada“ არასწორად აიგივებდა იურისდიქციის დასადგენ საერთაშორისო-სამართლებრივ ტესტს და მატერიალურ-სამართლებრივ შეფასებას, რომელიც შეეხება კონკურენციის შეზღუდვას „მიზნით“ ან „შედეგით“.

სასამართლომ განმარტა, რომ კომისიის გადაწყვეტილება მთლიანობაში საკმარის საფუძველს შეიცავდა იმის დასადგენად, რომ სადავო კარტელს შეეძლო ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში პროგნოზირებადი, მყისიერი და არსებითი ეფექტების გამოწვევა, კერძოდ - საჰაერო სატვირთო მომსახურების გაძვირების გზით იმპორტირებული საქონლის ფასებზე გავლენის მოხდენა. სასამართლომ, ასევე დაასკვნა, რომ მტკიცების ტვირთი კომისიას ეკისრებოდა და მან სათანადო სტანდარტით დაადასტურა კვალიფიციური ეფექტების არსებობა, მათ შორის ის, რომ სატვირთო ექსპედიტორების ჩარევა არ წყვეტდა მიზეზშედეგობრივ კავშირს კარტელსა და იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდას შორის. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მას შემდეგ, რაც კომისიამ საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგინა, „Air Canada“-ს ეკისრებოდა საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც მტკიცების ტვირთის უკანონო შებრუნებას არ წარმოადგენდა.

სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ TFEU-ის 101(1) მუხლის დარღვევა შეიძლება გამომდინარეობდეს არა მხოლოდ ცალკეული ქმედებიდან, არამედ ურთიერთდაკავშირებული ქმედებების სერიიდან ან „ერთპიროვნული და უწყვეტი დარღვევიდან“, როდესაც სხვადასხვა მონაწილე საერთო ანტიკონკურენტულ მიზანს ემსახურება. სასამართლოს განმარტებით, საწარმო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს არა მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობდა, არამედ სხვა

მონაწილეთა ქცევაზეც, თუ იგი აცნობიერებდა საერთო გეგმის არსებობას, იცოდა ან გონივრულად უნდა განეჭვრიტა სხვა მონაწილეთა უკანონო ქმედებები და მზად იყო შესაბამისი რისკის მისაღებად. ამ საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიას შეეძლო Air Canada-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მარშრუტებთან მიმართებითაც, რომლებზეც კომპანიას უშუალო ოპერირება არ განუხორციელებია.

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ „Air Canada“ ინფორმირებული იყო სხვა გადამზიდავების ანტიკონკურენტული ქცევის შესახებ და საკუთარი ქმედებებით ხელს უწყობდა საერთო ანტიკონკურენტული მიზნის განხორციელებას, მათ შორის ალტერნატიული მარშრუტების გამოყენებით დანამატებისთვის გვერდის ავლის პრევენციას. შესაბამისად, სწორი იყო საერთო სასამართლოს დაასკვნა, იმის შესახებ, რომ კომპანიას შეიძლებოდა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა იმ მარშრუტებთან მიმართებითაც, სადაც იგი უშუალო კონკურენტად არ მიიჩნეოდა. საბოლოოდ, სასამართლომ „Air Canada“-ს ყველა სააპელაციო საფუძველი უარყო.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შეთანხმებული ქმედება (ART. 101 (1) AND 102 OF TFEU)

European Superleague Company, SL v Fédération internationale de football association (FIFA) and Union of European Football Associations (UEFA)[2] - სრული გადაწყვეტილების ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62021CJ0333

1. ფაქტობრივი გარემოებები

საქმე ეხებოდა რამდენიმე წამყვანი ევროპული საფეხბურთო კლუბის მიერ ინიცირებულ „სუპერლიგის“ პროექტს, რომლისთვისაც ესპანეთში შეიქმნა European Super League Company (ESLC), ხოლო ორგანიზაციული და კომერციული ფუნქციები დაევალა A22 Sports Management-ს. პროექტი ეფუძნებოდა ნახევრად დახურული ლიგის მოდელს და ითვალისწინებდა მონაწილე კლუბების მიერ მედია და კომერციული უფლებების ESLC-სთვის გადაცემას. მისი განხორციელება დამოკიდებული იყო FIFA-სა და UEFA-ს აღიარებაზე ან ისეთ სამართლებრივ დაცვაზე, რომელიც კლუბებს სხვა ტურნირებიდან გარიცხვის რისკის გარეშე მონაწილეობის საშუალებას მისცემდა. FIFA-მ და UEFA-მ პროექტი არ აღიარეს და მონაწილე კლუბებსა და მოთამაშეებს სანქციებით დაემუქრნენ, რის შემდეგაც მადრიდის კომერციულმა სასამართლომ დროებითი ღონისძიებები მიიღო და მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა პრეიუდიციული კითხვებით. კითხვები შეეხებოდა იმას, არღვევდა თუ არა FIFA/UEFA-ს წინასწარი ავტორიზაციისა და სანქციების

[2] In Case C-333/21. 21 December 2023

სისტემა, აგრეთვე კომერციულ უფლებებზე (მედია, რეკლამები) მათი ექსკლუზიური კონტროლი, TFEU-ის 101-ე და 102-ე მუხლებს.

2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - TFEU-ის 102-ე მუხლი

სასამართლომ განმარტა, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არსებობს მაშინ, როდესაც ქცევა იწვევს ან შეიძლება იწვევდეს კონკურენტების ბაზრიდან გამორიცხვას ან მათი განვითარების შეზღუდვას. შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ბაზრის სტრუქტურასა და ქცევის რეალურ ან პოტენციურ ეფექტებს. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ FIFA და UEFA ერთდროულად მოქმედებენ როგორც რეგულატორები და ეკონომიკური ოპერატორები, რაც ინტერესთა კონფლიქტისა და ბაზრის დახურვის რისკს ქმნის.

სასამართლოს შეფასებით, სპორტის სპეციფიკა ამართლებს ერთიანი წესებისა და წინასწარი ავტორიზაციის სისტემის არსებობას, ისევე როგორც სანქციების გამოყენებას, რადგან ეს აუცილებელია შეჯიბრებების კოორდინაციისა და სპორტული სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ასეთი სისტემა უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე, ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. თუ წესები არ ზღუდავს დისკრეციას და პრაქტიკაში კონკურენტებისთვის ბაზარზე შესვლას შეუძლებელს ხდის, ისინი შეიძლება შეფასდეს როგორც TFEU-ის 102-ე მუხლის დარღვევა.

3. ქმედების შეფასება TFEU-ის 101-ე მუხლის ჭრილში

სასამართლომ განმარტა, რომ 101-ე მუხლი კრძალავს შეთანხმებებსა და ასოციაციების გადაწყვეტილებებს, რომელთაც კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი აქვთ. თუ დადგინდება ანტიკონკურენციული მიზანი, შედეგების ანალიზი საჭირო აღარ არის. ამ მიზნით უნდა შეფასდეს, ავლენს თუ არა ქცევა კონკურენციისთვის ზიანის მიყენების საკმარისად მაღალ რისკს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ FIFA/UEFA-ს წესები მათ აძლევს ბაზარზე შესვლის კონტროლის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც თავადაც ეკონომიკური ოპერატორები არიან. შესაბამისად, ისინი ერთდროულად არიან რეგულატორებიც და კონკურენტებიც, რაც ინტერესთა კონფლიქტსა და ბაზრის დახურვის საფრთხეს ქმნის. სანქციების მუქარა დამატებით აძლიერებს ამ ეფექტს. გამომდინარე იქიდან, რომ ავტორიზაციისა და სანქციების სისტემა არ ეფუძნება ობიექტურ და გამჭვირვალე კრიტერიუმებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი თავისთავად ავლენს ანტიკონკურენციულ ხასიათს და შეიძლება შეფასდეს როგორც 101-ე მუხლის დარღვევა.

4. ქმედების გამართლება

სასამართლომ ასევე იმსჯელა, შეიძლებოდა თუ არა FIFA/UEFA-ს ქმედების გამართლება TFEU-ის 101-ე და 102-ე მუხლების ფარგლებში. მისი განმარტებით, როდესაც ქცევა თავისი ბუნებით კონკურენციის შეზღუდვას ისახავს მიზნად, მხოლოდ დეკლარირებული ლეგიტიმური მიზნები საკმარისი არ არის. აუცილებელია დადგინდეს ქცევის აუცილებლობა და რეალური სარგებელი. მოცემულ საქმეში სასამართლომ ვერ დაადგინა სადავო სისტემის აუცილებლობა და ეფექტიანობის ისეთი სარგებელი, რომელიც

კონკურენციის შეზღუდვას გაამართლებდა, რის გამოც გამონაკლისის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.

5. ექსკლუზიურობა და მონოპოლიური კონტროლი

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა FIFA/UEFA-ს მიერ აუდიოვიზუალურ, მარკეტინგულ და სხვა კომერციულ უფლებებზე ექსკლუზიურ კონტროლზეც. ასეთი ცენტრალიზებული სისტემა ზღუდავს კლუბების დამოუკიდებელ კომერციულ საქმიანობას და ყველა ეკონომიკურ სარგებელს ერთ სტრუქტურაში აკონცენტრირებს. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული უფლებები კონკურენციის მნიშვნელოვანი ელემენტია და მათი სრული მონოპოლიზაცია შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც კონკურენციის შეზღუდვას მიზნის დონეზე (restriction by object), ისე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, თუ არ არსებობს შესაბამისი გამართლება.

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"